

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური უმჯობესიური საბჭოთა რესპუბლიკის  
მუხათა და გლეხთა მთავრობისა.

1923 წლის  
ოქტომბრის 12.

№ 10.  
განყოფილება პირველი

გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საკანონმდებლო კომისიის მიერ.

## შინაარსი:

- მუხ. 157. უცხოელთა ყოფნის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.
- „ 158. ნიჟნი ნოვოვოროდის ბაზრობის დამხმარე კომისიის ორგანიზაციის შესახებ.
- „ 159. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დებულებების დამტკიცების შესახებ.
- „ 160. ბირკის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის შესახებ.
- „ 161. სახალხო სასამართლოების სახელმწიფო ბიუჯეტზე მიღების შესახებ.
- „ 162. ყვითელი ფოთოლ-თამბაქოს აქციზის გადახდენების წესის შესახებ.
- „ 163. კოლპერატოების სარეწავი გადასახადით დაბეგვრის წესების შესახებ.
- „ 164. მულანის ველის სამელიორაციო სამმართველოსათვის იმ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადაცემის შესახებ, რაც შემოვა მულანის ველზე მორწყული მიწებიდან.
- „ 165. არსებული სააქციზო განაკვეთის შეცვლის შესახებ.
- „ 166. ცალკე სახალხო კომისარიატებისა და უწყებების ხარჯზე ამიერკავკასიის რკინისგზოთ ტვირთთა და მგზავრთა ნისიად გადაყვან-გადასაზიდვის შესახებ.
- „ 167. უცხოეთის სამხედრო ფორმისა და მისი შესაფერი იარაღის ტარების შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.
- „ 168. ამიერკავკასიის წყალთა სამმართველოსათვის ფულადი თანხების გადახდენების უფლებების მიცემის შესახებ ადგილობრივი წყალთა ადმინისტრაციის შესანახად.
- „ 169. სარეწავი გადასახადის გადახდენებში ინვალიდებისათვის შეღავათის მინიჭება შესახებ.
- „ 170. სასწავლებელთა სპეციალური ფულადი ფონდის შესახებ.
- „ 171. ელექტრო-ტექნიკურ ნაგებობათა მოწყობის ნებართვის წესის შესახებ იმ ადგილებში რომელთაც უკვე აქვთ საერთო სარგებლობის სატელეგრაფო ხაზი და სატელეფონო ქსელი.
- „ 172. წესები ტელეგრაფისა და ტელეფონის მათეულეების დაცვის შესახებ ძლიერი ელექტრონის დენის მოქმედებისაგან.
- „ 173. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა ენის შესახებ.
- „ 174. ნაზიგევანის მხარის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურად გადახდენების რაიონებისათვის მიკუთვნების შესახებ.

175. ამიერკავკასიის რკინის გზებზე და ზხატკეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათს ხმარების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.
176. აღმოსავლეთი საქართველოს მთიანი რაიონების განაწილების შესახებ მოსავლიანობის კატეგორიების მიხედვით.
177. მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე პურის მარაგის აღწერის შესახებ.
178. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ ადგილობრივი საკითხების დაკმაყოფილებისათვის.
179. არსებული სააქციზო განაკვეთის შეცვლის შესახებ.
180. სახელმწიფო ფულადი გადასახადისა და გამოსაღების პატიებისა, ვადის გადაღებისა და განაწილებისა და ხაზინაში არამართლიერად შესული თანხების დაბრუნების შესახებ.

## დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში

1923 წ. ივლისის 24-ს

### 157. უცხოელთა ყოფნის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უცხოელთათვის საცხოვრებელი მოწმობის მიცემის წესის შესახებ („ზარია ვოსტოკა“ 1923 წლის მაისის 17 № 110) 1923 წლის მაისის 16-ს თარიღითა და 49 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად და დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უცხოეთის ქვეშევრდომს, რომელიც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში შემოდის ან ტრანზიტით გაივლის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეუძლიან დარჩეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მხოლოდ იმ ვადის განმავლობაში, რაც აღნიშნულია ვიზაში, რომელსაც მისცემს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სრულფუნქციონირებელი ან პირი სპეციალურად რწმუნებამოსილი იმისთვის, რომ დაადოს ვიზა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში შემომსვლელი უცხოელის პასპორტს.

2. იმ შემთხვევისათვის, როდესაც ვიზაში არ არის აღნიშნული განსაზღვრული ვადა, უცხოეთის ქვეშევრდომს, რომელიც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში იმყოფება, შეუძლიან დარჩეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არა უმეტეს 2 კვირისა, ხოლო უცხოეთის ქვეშევრდომს, რომელსაც სატრანზიტო ვიზა აქვს — არა უმეტეს 7 დღისა.

3. უცხოეთის ქვეშევრდომს, რომელსაც სურს დარჩეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წინა მუხლში აღნიშნულ ვადაზე მეტ ხანს, უნდა აღძვრას შეამდგომლობა სამყოფელი ადგილის მიხედვით, ტფილისში — გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, ბაქოში, ერევანში, ბათომში, და სოხუმში — სათანადო რესპუბ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინა-



ნაშე, ხოლო დანარჩენ ადგილებში—ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების წინაშე.

4. უცხოეთის ქვეშევრდომს, რომელიც ამ ეამად იმყოფება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე უფლება აქვს დარჩეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არა უმეტეს ორ კვირისა, ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვიზის ვადა თავდება ორ კვირაზე აღრე.

5. უცხოეთის ქვეშევრდომმა, რომელსაც სურს დარჩეს ამიერკავკასიის, სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღნიშნულ ვადაზე მეტ ხანს უნდა აღძრას ამის შესახებ შუამდგომლობა ამა დადგენილების მესამე მუხლში აღნიშნული წესით.

6. უკეთუ ამა დადგენილების მესამე და მეხუთე მუხლში აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილებული არ იქნება, უცხოეთის ქვეშევრდომმა უნდა დასტოვოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორია სამი დღის განმავლობაში.

7. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განსავითარებლად.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის

თანამდებობის დრ. აღმ. **ივანიშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანის თანამდებობის

დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 27-ს თარიღის 171 №-ში.


## დადგენილება № 69 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 27.

### 158. ნიუნი-ნოვგოროდის ბაზრობის დამხმარე კომისიის ორგანიზაციის შესახებ.

რადგანაც ნიუნი-ნოვგოროდის ბაზრობას აქვს თვალსაჩინო ეკონომიური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და რადგანაც აუცილებელია, რომ ამ ბაზრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებმა, კოოპერატივებმა, და აგრეთვე კერძო ფირმებმა და საწარმოებმა,—სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. დაევალოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სეფარყო ფაქრობის სახალხო კომისარიატს მოაწიოს ამიერკავკასიის მასშტაბით სახელმწიფო



სამეურნეო ორგანოთა, კოოპერატივებისა და აგრეთვე კერძო ფირმათა და საწარმოთა უაღრესად ფართო მონაწილეობა ნიჟინი-ნოვგოროდის ბაზრობაში. რისთვისაც დაარსდეს ამიერკავკასიის სავაგრო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან განსაკუთრებული კომისია შემდეგი შედეგინობით: თავმჯდომარე და მისი მოადგილე, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის სავაგრო ვაჭრობის სახალხო კომისარი, თითო წარმომადგენელი—რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კონტორისა, საქართველოს სახალხო ბანკისა, ამიერკავკასიის რკინიგზებისა, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსი, ტფილისის ბირჟისა და ამიერკავკასიის ცენტროკავშირისა და ერთი წარმომადგენელი კერძო ფირმებისა და საწარმოებისა. აღნიშნულ კომისიას უფლება ეძლევა კოოპტაციით მოიწვიოს მკოდნე პირნი და სპეციალისტები.

**მენიშვა.** კომისიის დამუჯდომარედ დანიშნება ამიერკავკასიის სავაგრო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ერთ-ერთი წევრი.

2. მოეწყოს აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში—ბაქოში და ერივანში და აგრეთვე ბათუმში ანალოგიური კომისიები ამიერკავკასიის სავაგრო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებებთან დაინტეგრირებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა წარმომადგენლებისაგან სავაგრო ვაჭრობის სახ. კომისარიატის განსაზღვრისამებრ. მიეცეს აღნიშნულ ადგილობრივ კომისიებს საჭირო დამოუკიდებლობა ტექნიკურ—ოპერატიულ სფეროში, ხოლო ხელმძღვანელობა და საერთო კონტროლი დარჩეს ტფილისის ცენტრალური კომისიის ხელში.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სავაგრო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შეადგინოს აღრიცხვა ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლში ჩამოთვლილი კომისიების დაარსების ხარჯისა—შემოსავლის შესაძლებელი წყაროების აღნიშვნით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა განიხილოს აღნიშნული აღრიცხვა ერთ კვირის განმავლობაში.

4. რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ნიჟინი-ნოვგოროდის ბაზრობისათვის და მის მონაწილეთათვის დაწესებული შეღავათი და უპირატესობანი შეიძლება გავრცელებულ იქნეს ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზეც. რაც თვითეულ შემთხვევაში მოხდება ტფილისის ტენტრალური კომისიის განსაკუთრებული დასაბუთებული წარდგენით, რომელსაც დაადასტურებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

5. როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი კომისიების მუშაობა ჩაითვალოს დაკვირვით და სასწრაფო ხასიათის მქონე მუშაობად.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 28 თარიღის 172 №-ში.

# დადგენილება ამიერკავკასიის სენსრალური ალმა- სრულაგელი კომიტასისა.

1923 წლის ივლისის 23-ს.

## 159. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს და ძალაში შევიდეს შემდეგი დებულება ამიერ-  
კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი:

I. მუხ. 1. სამეურნეო და საფინანსო ღონისძიებათა გაერთიანებისათვის და  
აგრეთვე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის და რესპუბლიკანური  
ეკონომიური თათბირების ეკონომიური პოლიტიკისა და მუშაობის ხელმძღვანე-  
ლობისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარ-  
თა საბჭოსთან არსდება უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

2. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შედგენილებაში თავმჯდომარედ და მის  
მოადგილედ შედის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კო-  
მისართა საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილენი, ხოლო წევრებად: ამიერ-  
კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა, საგარეო ვაჭრობისა, შრო-  
მის და სასურსათო სახალხო კომისრები და აგრეთვე სოციალისტური საბჭოთა  
რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარის რწმუნებული ამიერკავკა-  
სიაში.

**შენიშვნა.** იმ საკითხებისათვის, რაც შეეხება რესპუბლიკანური ეკო-  
ნომიური თათბირებისა და რესპუბლიკანური ეკონომიური ორგანოების  
მოქმედების მოწესრიგებას, მოწვეულ უნდა იქნეს ხოლმე გაფართოებული  
კრება უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, რომელშიაც, ვარდა ჩამოთვლილი  
შედგენილობისა, მონაწილეობას მიიღებს: რესპუბლიკანური ეკონომიური  
თათბირებისადა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების თავმჯდომა-  
რენი, სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა კავკასიის ბიუროსა  
და რესპუბლიკანურ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოების თავმჯდომა-  
რენი, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების მმართველნი, ცენტ-  
რალური კოაპერატიული კავშირის ამიერკავკასიის განყოფილების თავ-  
მჯდომარე და რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კონტორის მმარ-  
თველი.

3. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიზანს შეადგენს:

ა) დაწესება საერთო სამეურნეო გეგმისა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.  
რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობისათვის;

ბ) მეთვალყურეობა ამ გეგმის განხორციელებისათვის და დაწესება გამო-  
ნაკლისისა ამ გეგმიდან, როცა ეს აუცილებელი იქნება;

გ) წარმართვა ეკონომიური სახალხო კომისარიატების მუშაობისა და ამიერ-  
კავკასიის ხასიათისა და მნიშვნელობის სხვა სამმართველოთა მუშაობისა საერთო  
სახელმწიფო სამეურნეო გეგმის მიხედვით (პუნქტი ა);

დ) ხელმძღვანელობა ამიერკავკასიის ფედერაციის ცალკე რესპუბლიკათა ეკონომიური თათბირების მოქმედებისა;

ე) დაწესება მრეწველობის იმ დარგებისა და მრეწველობის იმ ცალკე სამეურნეო ერთეულებისა, რომელნიც აღიარებულ უნდა იქნენ ფედერალური მნიშვნელობისა და ხასიათის მქონე დარგებად და ერთეულებად;

ვ) დადება საკონცესიო ხელშეკრულებათა და დამტკიცება შერეულ საზოგადოებათა წესდებებისა საერთო-საკავშირო კანონმდებლობის და საკონცესიო წესების საფუძველზე.

4. რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირები რესპუბლიკანური სამეურნეო ორგანოების მოქმედებას შეუთანხმებენ ერთიან ფედერალურ სამეურნეო გეგმას და თვალყურს ადევნებენ, რათა ამ ორგანოებმა თავის დროზე და სისწორით შეასრულონ ყველა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს დადგენილება ეკონომიური საკითხების სფეროში.

ბ. ყოველი საგეგმო განზრახულება და აგრეთვე წარმოებითი პროგრამა ფედერალური მეურნეობის საკითხთა სფეროში, რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირებისა, ფედერალური სახალხო კომისარიატებისა და ფედერალური მნიშვნელობის ცალკე სამმართველოთა მიერ აუცილებლად წარდგენილ უნდა იქნეს დასამტკიცებლად უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

6. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა ფედერალური სახალხო კომისარიატისათვის და აგრეთვე რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირებისათვის.

7. სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს ან შეაჩეროს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებანი.

8. ფედერალური ხასიათისა და მნიშვნელობის ყველა სხვადასხვაგვარ სამმართველოს (ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო, მულანის ველის სამელიორაციო მშენებლობა და სხვ.) ხელმძღვანელობას უწევს უმაღლესი ეკონომიური საბჭო მმართველობის წესით.

9. მე-3 მუხლში აღნიშნული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან მოეწყობა: 1) საერთო საგეგმო კომისია (ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისია), 2) სავაჭრო კომისია, 3) ნედლი მასალის კომიტეტი.

II. მუხლი 1. საერთო საგეგმო კომისიის (ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისია) მიზანია: შეიმუშავოს:

ა) ერთიანი ფედერალური სამეურნეო გეგმა და აგრეთვე საშუალებანი და წესი მისი განხორციელებისა;

ბ) ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი, ფულისა და კრედიტის სისტემა და აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა სისტემა;

გ) ერთიანი სასურსათო გეგმა მომარაგებისა და ნატურალური გადასახადისა;

დ) მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საერთო საფუძველები და აგრეთვე მიწის გულისა, ტყისა და წყლის სარგებლობის საფუძველები ამიერკავკასიის ფედერაციის მთელს ტერიტორიაზე;

ე) საერთო ფედერალური კანონმდებლობა ქოჩად მავალთა საძოვარი ადგილების სარგებლობის შესახებ;

ვ) წესები ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმის მოწესრიგებისათვის;

ზ) საერთო საფუძვლები ფედერალური სტატისტიკის ორგანიზაციისა;

თ) ძირითადი კანონები შრომისა და საკონცესიო ხელშეკრულებათა შესახებ;

ი) საერთო საფუძვლები მელიორაციული საქმისა და სასოფლო-სამეურნეო ძვირფას კულტურათა განვითარების საქმისა;

კ) განხილვა და ფედერალურ გეგმასთან შეთანხმება რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირების, აგრეთვე ცალკე სახალხო კომისარიატების და სამმართველოების წარმოებითი პროგრამებისა და ყოველი საგეგმო განზრახვლებისა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

**შენიშვნა.** ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისია მოწყობა თანახმად უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ცალკე გამომუშავებული დებულებისა.

III. მუხ. 1. სავაჭრო კომისიის მიზანია შინაური ვაჭრობის მოწესრიგება, რისთვისაც კომისია:

ა) შეიმუშავებს დეკრეტებისა და დადგენილებათა პროექტებს შინაური ვაჭრობის საქმეთა შესახებ, რომელთაც აქვთ ფედერალური მნიშვნელობა და ხასიათი, და აგრეთვე მისცემს დასკვნას ამიერკავკასიის ფედერაციის შედგენილობაში შემაჯავლი რესპუბლიკების ამგვარი დეკრეტებისა და დადგენილების შესახებ;

ბ) შეთანხმებს სახელმწიფო ბანკისა, ფედერალური და რესპუბლიკანური ეკონომიური სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სავაჭრო პოლიტიკას, რათა მოწესრიგებულ იქნეს ფასების მოძრაობა საქონლის ბაზარზე და განმტკიცდეს ფულის ნიშნების სყიდვითი ძალა;

გ) განსაზღვრავს სიას იმ საქონლისას, რომელთა ფასების გადიდება მათი საფაბრიკო-საქარხნო საწყობებიდან და აგრეთვე სასაქონლო საწყობებიდან სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ გამოშვების დროს—არ შეიძლება თვინიერ კომისიის ნებართვისა.

დ) განსაზღვრავს იმავე შემთხვევებისათვის აღნიშნული ფასების უკიდურეს რაოდენობას.

2. შინაური ვაჭრობის კომისიის დადგენილებანი სავალდებულოა ყველა უწყებისა და დაწესებულებისათვის.

3. სავაჭრო კომისია გადასწყვეტს და მოაწესრიგებს საგარეო ვაჭრობის საკითხებს, რაც წამოყენებული იქნება ამიერკავკასიის პირობებისა და თავისებურების ნიადაგზე.

IV. ნედლი მასალის კომიტეტი.

მუხ. 1. კომიტეტის მიზანია:

ა) განსაზღვრა ამიერკავკასიის ნედლი მასალის რესურსების სარგებლობის ხასიათისა და საშუალებათა და აგრეთვე ამ რესურსების წარმართვის საშუალებათა;

ბ) კალკულიაცია ფასებისა სახელმწიფოდან გატანილი ნედლი მასალისათვის.

2. კომიტეტის დადგენილებანი სავალდებულოა ყველა უწყებისა და დაწესებულებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 28-ს თარიღის 173 №-ში.

## დადგენილება № 70 ამიერკავკასიის სოხ. უმე. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიათ საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 28.

### 160. ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის შესახებ.

1. ყველა სახელმწიფო საწარმო და დაწესებულება, კოოპერატიული ორგანიზაცია, შერეული საზოგადოება და აგრეთვე საჯარო ანგარიშგებისათვის ვალდებული კერძო საწარმო და ფირმა, რაც არსებობს ისეთ ქალაქებში, სადაც არის ბირჟები, —გაატარებენ რეგისტრაციაში თავიანთ ბირჟის გარეშე მოხდენილ გარიგებას, რომელიც დადებულ იქნება საქონლის ყიდვისა და გაყიდვისათვის და საქონლის ნატურალური გაცვლა-გამოცვლისათვის, როგორც ერთმანეთში, ისე კერძო საწარმოსთან და პირთან.

**შენიშვნა 1.** გარიგება, რომელიც დადებულია ისეთ ადგილას, სადაც ბირჟა არ არის, —უნდა გატარდეს რეგისტრაციაში, უკეთეს ერთ-ერთი მხარის (მყიდველი და გამყიდველი) სამყოფელი ადგილი არის ქალაქი, სადაც ბირჟა არსებობს.

**შენიშვნა 2.** სამხედრო უწყებისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გარიგებანი წითელი არმიის ფლოტის და მილიციის შეიარაღებისა და სპეციალური ტექნიკური მომარაგების შესახებ —განთავისუფლებულია რეგისტრაციისაგან.

2. სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება ყოველი ბირჟის გარეშე დადებული გარიგება თანხით —დაწყებული 50 ჩერვონეციდან და მეტიც და აგრეთვე ყოველი ვაგონობითი გარიგება, დადებული არა ნაკლებ ერთი ვაგონი ტვირთისა, თუნდაც გარიგების თანხა 50 ჩერვონეცზე ნაკლებიც იყოს; ხოლო გარიგება, აღნიშნულ ფარგლებზე ნაკლები, განთავისუფლებულია სავალდებულო რეგისტრაციისაგან.



**შენიშვნა.** ხელოვნური დანაწილება ერთი გარიგებისა რამდენსამე მცირე გარიგებად სავალდებულო რეგისტრაციის თვიდან აცილების მიზნით — არ შეიძლება.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ბირჟის გარეშე დადებულ გარიგების რეგისტრაცია უნდა მოახდინოს, როგორც გამყიდველმა, ისე მყიდველმა.

4. გარიგების რეგისტრაცია მოხდება ამა თუ იმ ქალაქის ბირჟის სასაქონლო განყოფილებაში არა უგვიანეს სამი დღისა მისი დადების შემდეგ — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული განსაკუთრებული ინსტრუქციის წესით.

5. ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯის დასაფარავად, ბირჟის კომიტეტს, ადგილობრივი პირობებისა, რეგისტრაციაში გასატარებელ გარიგებათა რაოდენობისა და საქონლის ხარისხის მიხედვით, უფლება აქვს დააწესოს სარეგისტრაციო გამოსაღები განსაზღვრული რაოდენობისა, ხოლო არა უმეტეს თვითთელი გარიგების ღირებულების  $\frac{1}{4}$  პროცენტისა (გამყიდველისა და მყიდველისაგან ერთად). დაწესებული გამოსაღების რაოდენობას დაამტკიცებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

6. მეფალყურობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისრება ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატს.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე კერძო პირი და ორგანიზაცია მიიღება პასუხისგებაში სასამართლოს წესით. ამის გარდა, თვითთელი ვადაზე არა რეგისტრაციაქმნილი გარიგებისათვის გადახდივნიებულ იქნება სარეგისტრაციო გამოსაღები საქვეცად.

8. ამა დადგენილების გამოცემისათანავე გაუქმდება ამ საგანზე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოქმედი ყველა კანონდებულება და წესები.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის  
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის  
დროებითი აღმასრულ. **ხ. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 31-ს თარიღის

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური ალგ-სრულაგული კომისიასა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 28.

## 161. სახალხო სასამართლოების სახელმწიფო ბიუჯეტზე მიღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. აპრილის 2-ს თარიღით საერთო-სახელმწიფოებრივი, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის მიკუთვნებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შესახებ გამოცემული დეკრეტის („ზარია ვოსტოკა“ № 81, 1923 წლის აპრილის 12) შესაცვლელად— ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გამორიცხულ იქნეს I კარის III თავში (ხარჯების ადგილობრივ საშუალებათათვის მიკუთვნების შესახებ) აღნიშნული ნუსხიდან § 5, რომლითაც იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოქმედების სფეროში გათვალისწინებულია ორგანიზაცია, მოწყობა და შენახვა სახალხო სასამართლოებისა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აგვისტოს 2-ს თარიღის 176 №-ში.

## დადგენილება № 71 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 31.

## 162. ყვითელი ფოთოლი—თამბაქოს აქციზის გადახდევინების წესის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის თებერვლის 10-ს თარიღითა და 7 №-ით ამიერკავკასიის ფედერაციის ფარგლებში თანაბარი სააქციზო განაკვეთის დაწესების შესახებ გამოცემული დადგენილების 34 მუხლის შესაცვლელად,—სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყვეთელი ფოთოლი-თამბაქოს აქციზი შეტანილ უნდა იქნეს ფაბრიკის მიერ არა უგვიანეს სამი თვისა—თამბაქოს საწყობიდან გამოშვებისა და გადასამუშავებლად ფაბრიკაში გადასვლის დღიდან.

2. დადგენილება ესე გავრცელდება მხოლოდ სახელმწიფო სამეურნეო შენაერთთა თამბაქოს ფაბრიკებზე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის  
დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ.-საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის  
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აგვისტოს 2-ს თარიღის  
176 №-ში.

## დადგენილება № 72 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ივლისის 31.

### 163. კოოპერატივების სარეწავი გადასახადით დაბეგვრის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სარეწავი გადასახადის შესახებ 1923 წ. აპრილის 5-ს დამტკიცებული დებულებების მე-14 მუხ. თანახმად, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კარდახურული კოოპერატივი, რომელიც მხოლოდ თავის წევრებს აწვდის საქონელს, გადაიხდის: ძირითადი სარეწავი გადასახადის 50 პროც. და დამატებითი სარეწავი გადასახადის (საპროცენტო გამსაღები) 75 პროც.—გადასახადის იმ რაოდენობისას, რასაც განსაზღვრავს საგადასახადო კომისია.

2. ყველა დანარჩენი მომხმარებელი კოოპერატიული შენაერთი, რომელიც შედის ცენტრალური კავშირის ამიერკავკასიის საოლქო განყოფილების შედგენილობაში, როგორც პირვანდელი, ისე შემდეგ მოწყობილი, გადაიხდის: ძირითადი სარეწავი გადასახადის 75 პროც. და დამატებითი გადასახადის (საპრო-

ცენტო) 87 ნახ. პროც. გადასახადის იმ როოდენობისას, რასაც განსაზღვრავს სადასახადო კომისია.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის ამა წლის იანვრის 1-დან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

სახალხო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომ. საბ. საქ. მმართველის თანამდ. დროებ. აღმ. **ნ. ივანიშვილი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის.

დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი**.

გამოქვეყნებულია „ხარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აგვისტოს 4-ს თარიღის 175 №-ში.

## დადგენილება № 73 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აგვისტოს 2.

**164.** მულანის ველის სამელიორაციო სამმართველოსათვის იმ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადაცემის შესახებ, რაც შემოვა მულანის ველზე მორწყული მიწებიდან.

1. გადაეცეს მულანის ველის სამელიორაციო სამმართველოს მთელი როოდენობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა, რაც შემოვა მულანში (სპარსეთის საზღვრიდან არაქსის, მტკვარის და აკუშის მარჯვენა ნაპირით ბელიასუფაის რაიონითურთ) მორწყული მიწის მთელი სივრციდან, ადგილობრივი საქიროებისათვის დაწესებული ანარიცხის გამოკლებით,

**შენიშვნა.** სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რაც აღნიშნულ რაიონში გაწერილია ოთხფეხ საქონელზე—არ შედის მულანის ველის სამელიორაციო სამმართველოს განკარგულებაში.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფას მოახდენს სასურსათო სახალხო კომისარიატი მულანის ველის სამელიორაციო სამმართველოსთან ერთად.

3. გადასახადის გადახდელს ეძლევა უფლება გადასახადის ფულად შეტანისა საერთო საფუძველზე, თანახმად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დერეტისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის

თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის

თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი**.

გამოქვეყნებულია „ხარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აგვისტოს 4-ს თარიღის 178 №-ში.



# დადგენილება № 74 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში.

1923 წლის აგვისტოს 8-ს.

## 165. არსებული სააქციო განაკვეთის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მაისის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების II განყოფილების საფუძველზე, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

I. დაწესებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემდეგი სააქციო განაკვეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით:

### 1. ყურძნისა, ხილეულობისა და „იზიუმის“ ღვინოზე.

#### ა. ადგილობრივი წარმოებისა:

ა) ყურძნის ღვინო არა უმეტეს 14 გრადუსისა სიმაგრით—800,000 მანეთი ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—3,800,000 მან.;  
 ბ) ხილეულობის ღვინო სიმაგრით 14 გრადუსამდე—3,800,000 მან. ვედროზე;  
 გ) ყურძნის ღვინოს, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსზე ზევით, მაგრამ არა უმეტეს 20 გრადუსისა და აგრეთვე „იზიუმის“ ღვინოს დაედება აქციოზი—4,480,000 მან., ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—8 მილიონი მან.;  
 დ) მონავარდე ღვინო (შუშუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად) დაიბეგვრება აქციოზით—23,700,000 მან. რაოდენობით ვედროზე.


#### ბ. უცხოეთიდან შემოტანილი:

ა) ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსამდე აქციოზად დაედება 7,520,000 მან. ვედროზე, 14 გრადუსზე ზევით, მაგრამ არა უმეტეს 20 გრადუსისა—18,800,000 მან. და მონავარდე ღვინო (შუშუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—61,600,000 მან. ვედროზე.

2. ღვინის ძმარს აქციოზად დაედება 800,000 მან. ვედროზე.

3. სპირტი დაიბეგვრება: ა) გამოხდილი პურეულისაგან, დაჩირული ხილეულობისაგან და ყურძნეულობისაგან (ქიშიში, „იზიუმი“)—400,000 მან. გრადუსზე; ბ) კონიაკის სპირტი—100,000 მანეთით გრადუსზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—450,000 მან. გრადუსზე; გ) გამოხდილი ნედლი ხილიდან, მარწყვეულობიდან და ღვინეულის ყოველგვარი ნაშთებიდან—40,000 მანეთით გრადუსზე; დ) კონიაკს დაედება დამატებითი აქციოზი—10,000,000 მან. რაოდენობისა ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—20 მილიონი მან. ვედროზე.

**შენიშვნა.** ტენიკური, ქიმიური და სხვა სპეციალური საჭიროებისათვის გაცემული უმი და რეკტიფიკაციაქმნილი სპირტი უნდა დაიბეგვროს აქციოზით საერთო საფუძველზე.



4. არყეულობას გარდა ძირითადი აქციისა დაედება დამატებითი აქციზი 16 მილიონი მან. ვედროზე.

5. ლუდი, თაფლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყალი დაიბეგრება: ა) ლუდი, სიმაგრით არა უმეტეს 6 გრადუსისა— 2 მილ. მან. ვედროზე; ბ) თაფლი, კვასი და ხილეულობის ხელოვნური წყალი—400,000 მან. ვედროზე.

6. წუმწუმის ასანთი დაიბეგრება: ა) კოლოფი, რომელიც შეიცავს არა უმეტეს 75 წვირისა—10,000 მანეთით; ბ) 75 წვირზე ზევით, მაგრამ არა უმეტეს 150 წვირისა—20,000 მანეთით; გ) 150 წვირზე ზევით, მაგრამ არა უმეტეს 225 წვირისა—30,000 მან. და სხვ.

7. ნავთის პროდუქტები დაიბეგრება: ა) სანათი ზეთი (კეროსინი) და ნავთის სხვა გამჭვირვალე ნახადი პროდუქტი (სანათი და საცხებელი ზეთი) გარდა ბენზინისა—1,200,000 მანეთით ფუთზე; ბ) ბენზინი—2 მილიონი 400,000 მანეთით ფუთზე.

8. ჩაი, ყავა, მათი სუროგატი და ციკორი დაიბეგრება შემდეგი რაოდენობით გირვანქაზე:

ა) შავი (ბაიხოვი) ჩაი—1,800,000 მანეთით; ბ) ჩაი ფილებად (პლიტოჩნი)—1,100,000 მან.; გ) აგურის ჩაი (კიროპინი)—500,000 მან. მანეთით; დ) ადგილობრივი ალმოცენების ჩაი—400,000 მანეთით, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—1,800,000 მანეთით; ე) ყავა ნატურალური უმი ან დახალული და დაფუთული—1,200,000 მანეთით; ვ) ჩაისა და ყავის სუროგატი და ციკორი—100 ათასი მანეთით.

9. საფუარი დაიბეგრება: ა) დაწნეხილი საფუარი და აგრეთვე ხმელი, გაკეთებული დაწნეხილი საფუარის დამზადების წესით, როცა მას დამატებული აქვს ფქვილი ან სხვა მისი თანაგვარი ნივთიერება იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება საფუარის სრული გამაგრებისათვის—400,000 მანეთით გირვანქაზე ბ) ხმელი საფუარი, დამზადებული დაწნეხილი საფუარის გაშრობით განსაკუთრებული წესით—1,200,000 მანეთით გირვანქაზე.

10. სახარინი და სხვა მისი თანაგვარი ხელოვნურად დატკბილული ნივთიერება დაიბეგრება 20,000,000 მანეთით გირვანქაზე.

11. თაფლისა, ქანცვილისა (ლზოკერიტ), სტეარინისა და სხვა სანთელი დაიბეგრება 1,200,000 მანეთით გირვანქაზე.

12. საჭმლის მარილი 200,000 მან. ფუთზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—800,000 მან.

13. თამბაქოს ნაკეთობა:

#### ა. ადგილობრივი წარმოებისა:

ა) ყვითელი თამბაქო ფოთლებად (არა წვეკო), რომელიც თამბაქოს ქარხნის საწყობიდან გადაეცემა თვით ქარხანას გადასამუშავებლად—2,000,000 მან. გირვანქაზე.

ბ) წვეკოს პაპიროსი 1000 ცალზე—1,200,000 მან.

გ) სიგარეტს 1000 ცალზე—9,000,000 მან.

- დ) სიგარა 1000 ცალზე—24,000,000 მან.
- ე) მოსაწვევი წეკო გირვანქაზე—200,000 მან.

**ბ. უცხოეთის წარმოებისა:**

ა) მოსაწვევი თამბაქო და ბურნუთი ყველა ხარისხისა გირვანქაზე—6,000,000 მანეთი.

- ბ) პაპიროსი ყველა ხარისხისა 1000 ცალზე—12,000,000 მან.
- გ) სიგარეტი 1000 ცალზე—30,000,000 მან.
- დ) სიგარა 1000 ცალზე—80,000,000 მან.

14. გილზის ნაკეთობა და პაპიროსის ქალაღი:

- ა) პაპიროსის გილზი 1000 ცალზე—400,000 მან.
- ბ) დაჭრილი პაპიროსის ქალაღი 1000 ფურცელზე—120,000 მან.

**შენიშვნა.** გილზი, რომელიც ხმარდება პაპიროსის დამზადებას თამბაქოს ქარხანაში აქციზით არ დაიბეგვრება.

15. პაპიროსის სახელოსნოში აქციზ გადახდილი ბანდეროლიანი თამბაქოსაგან და აქციზ გადახდილი ბანდეროლიანი გილზისაგან დამზადებული პაპიროსისათვის დაწესებულ იქნეს დამატებითი აქციზი 400,000 მანეთის რაოდენობით ათას ცალზე.

16. ქარხლისა და სახამებლის შაქარი:

**ა. ქარხლისა კრიხტალიური:**

- ა) ფხენილი—6,000,000 მან. ფუთზე.
- ბ) რაფინადი—7,500,000 მან. ფუთზე.

**ბ. სახამებლის შაქარი** სითხედ და გამაგრებული (სახამებლის ბადაგი, გლიუკოზა და რაფინადი)—2,400,000 მან. ფუთზე.

17. შირის კალოში.

- ა) ადგილობრივი წარმოების კალოში—400,000 მანეთით წყვილზე.
- ბ) უცხოეთის წარმოებისა 800,000 მანეთით წყვილზე.

**შენიშვნა.** ბეშვის კალოში დაედება ნახევარი აქციზი.

II. ა) ამა დადგენილებით დაწესებული განაკვეთი შეეფარდება ყველა საგანს, რაც გამოშვებულია მისი წარმოებისა ან შენახვის იმ ადგილიდან, რომელიც სარგებლობს მასზე აქციზის გადარიცხვის უფლებას არსებული წესით.

ბ) ყველა საგანი, რომლის აქციზიც უკვე გადახდილია მტკიცე განაკვეთის მიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ამა 1923 წლის მაისის 14-ს თარიღის დადგენილების თანახმად—თავისუფალია დამატებითი დაბეგვრისაგან.

გ) იმ საგნებისათვის, რაც გამოშვებულია აქციზის გადახდის ვადის შეღავათიანი გადაღებით და აგრეთვე ვადავადაცილებული საგნებისათვის აქციზი გადახდილი უნდა იქნეს იმ განაკვეთის მიხედვით, რაც იქნება აქციზის გადახდის დღეს.

III. დაევალოს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რათა დადგენილება ესე ძალაში შევიდეს ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის  
თანამედ. დროებ. აღმასრ. ივანიშვილი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის  
დროებითი აღმასრულებელი ს. ლეკიშვილი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აგვისტოს 10-ს თარიღის 182 №-ში.

## დადგენილება № 75 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923. წ. აგვისტოს 7.

### 166. ცალკე სახალხო კომისარიატებისა და უწყებების ხარჯზე ამიერკავკასიის რკინის გზის ტვირთთა და მგზავრთა ნისიად გადაყვან-გადაზიდვის შესახებ.

1. ამიერკავკასიის რკინის გზით ტვირთთა და ცალკე შემთხვევაში, — მგზავრთა (ჯგუფებად) ნისიად გადაზიდ-გადაყვანა ნებადართულია მხოლოდ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებისათვის და მათ თანაბარ უწყებათათვის.

2. ნისიად გადაზიდვა შეიძლება მხოლოდ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წერილობითი წინადადებით ამიერკავკასიის რკინის გზის სამმართველოს სახელზე — თვითიუღ შემთხვევისათვის ცალკე, — ამასთანავე უმეტ-ნაკლებო სისწორით აღნიშნულ უნდა იყოს ნებადართული კრედიტის რაოდენობა.

3. ნისიად გადაზიდვის ანგარიშის გასწორებას სახალხო კომისარიატებთან და უწყებებთან აწარმოებს ამიერკავკასიის რკინის გზის სამმართველო ერთი თვის ვადის განმავლობაში დღიდან ტვირთის გადასაზიდად მიღებისა და მგზავრთა გადაყვანისა იმ გადაყვან-გადაზიდვის კურსით, რომელიც იქნება სასყიდლის გადახდის დღეს.

4. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა, უკეთუ ნისია ვადაზე გასტუმრებული არ იქნება, უნდა გაანადღოს ნებადართული ნისია და დაჰფაროს იგი სათანადო დაწესებულების კრედიტებიდან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.  
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.  
სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველის  
თანამედ. დროებ. აღმასრულებელი ნ. ივანიშვილი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.  
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამედ. დროებითი  
აღმასრულებელი ს. ლეკიშვილი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აგვისტოს 12-ს თარიღის 184 №-ში.



# დადგენილება № 76 აშორკავკასიის სოც. ფედ. საბჭო- თა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 7.

## 167. უცხოეთის სამხედრო ფორმისა და მისი შესაფერი იარაღის ტარების შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლი- კის ტერიტორიაზე.

1. უცხოეთის სამხედრო ფორმის ტანსაცმლის და მისი შესაფერი იარაღის ტარება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ალკრძა-  
ლულია.

**შენიშვნა:** უცხოეთის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ იარაღის ტა-  
რება განისაზღვრება იმ წესებით, რომელიც საამისოდ დადგენილია ამიერ-  
კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთათვის, ვარდა ამა  
დადგენილების მე-4 მუხ. აღნიშნული შემთხვევებისა, როდესაც მათ ნება  
ეძლევა იმ იარაღის ტარებისა, რაც შეადგენს მათი სამხედრო ფორმის  
კუთვნილებას.

2. I-ლ მუხლში აღნიშნული ალკრძალვა არ გავრცელდება:

ა) ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში სამსახურის საქიროე-  
ბისათვის მყოფ უცხოეთის არმიის და ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ  
იარაღის ტარებაზე, როდესაც ისინი, სამსახურის მოვალეობის გამო, დაესრულებიან  
ოფიციალურ ზეიმსა და დღესასწაულსა, ან როდესაც არის სხვა რაიმე ოფიციალუ-  
რი გარემოება.

ბ) ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის პორტებში მდგარ უც-  
ხოეთის სამხედრო ნაფეტქლის მეზღვაურთა მიერ უცხოეთის სამხედრო ფორმის  
ტარებაზე ნაპირზე გადმოსვლის დროს, ვარდა საკომანდო შედგენილობის პირთა,  
რომელთათვისაც ნაპირზე ფორმის ტარება განსაზღვრულია ლიტ. „ა“-ში აღნი-  
შნულ შემთხვევებით.

და გ) ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამსა-  
ხურის გამო მყოფ გერმანიის და შვეიცის წითელი ჯვრის წარმომადგენელთა მი-  
ერ უცხოეთის სამხედრო ფორმის ტარებაზე.

3. უკეთუ საქიროება მოითხოვს, ვარგეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს,  
სხვა დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, უფლება ეძლევა განსაზღვროს  
იმ პირთა კატეგორია, რომელნიც არ შეესაბამებიან ამ დადგენილების მე-2 მუ-  
ხლს და რომელთა მიმართ უცხოეთის სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარების  
ალკრძალვა არ უნდა იქნეს შეფარდებული.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ.

დროებ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დროებ.

აღმასრულებელი **ხ. ლეკიშვილი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აგვისტოს 14 185 №-ში.

# დადგენილება № 77 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აგვისტოს 13.

**168.** ამიერკავკასიის წყალთა სამმართველოსათვის ფულადი თანხების გადახდევინების უფლების მიცემის შესახებ ადგილობრივი წყალთა აღმინისტრაციის შესახებ.

1. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის წყალთა სამმართველოს ხელშეკრულებითი შთანხმების გზით (ტიპიური ხელშეკრულება დამტკიცებულია ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. აგვისტოს 10-ს) დაინტერესებულ გლეხთა კოლექტივებთან და წყალმომქედი საწარმოების მფლობელებთან, — გადახდევინოს უკანასკნელთ ფულადი თანხა (ან და მისი ნატურალური ეკვივალენტი) იმ ხარჯების დასაფარავად, რაც საჭირო იქნება ადგილობრივი წყალთა აღმინისტრაციის შენახვისათვის, არხების მოწყობისა და რემონტისათვის და აგრეთვე მინდვრებისა და ნაგებობის დაცვისათვის წყალდიდობისა და ნიაღვრისაგან.

2. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკისრებათ იხმარონ აღმინისტრაციული ღონისძიებანი, რათა წყალის ყველა მოსარგებლემ თავის დროზე შეასრულოს საკუთარი მოვალეობა არხებისა და ნაპირების გასამაგრებელი ნაგებობისათვის მუშაობის საქმეში და თავის დროზე შეიტანოს ზემოაღნიშნული მიზნებისათვის მასზე მირიცხული თანხა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეიშვილი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აგვისტოს 14-ს თარიღის 185 №-ში.

# დადგენილება № 78 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 11.

**169.** სარეწავი გადასახადის გადახდევინებაში ინვალიდებისათვის შეღავათის მინიჭების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამ წლის აპრილის 5-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის 14 მუხლის საფუძველზე—ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:



1. სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებულ და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის აღნუსხვაზე მყოფ ინვალიდებს, აგრეთვე საინვალიდო შენაერთთ ნება დაერთოთ იქონიონ,—სამრეწველო მოწმობების აღღებლად, სამრეწველო გადასახადისათვის I და II კატეგორიებზე მითვლილი სავაჭრო საწარმო და I კატეგორიაზე მითვლილი სამრეწველო საწარმო.

2. ის ინვალიდი, რომელიც I მუხლში აღნიშნულ შეღავათით ისარგებლებს, სოციალური უზრუნველყოფისაგან მოიხსნება.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა შმართველის  
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭ. მდიენის  
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აგვისტოს 15 თარიღის 186 №-ში

## დღგენილება № 79 აშიარკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსში.

1923 წლის აგვისტოს 14.

### 170. სასწავლებელთა სპეციალური ფულადი ფონდის შესახებ.

რათა გაუმჯობესებულ იქნეს ყველა სახის სასწავლებელთა ფინანსური მდგომარეობა—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნებადართულ იქნეს დაარსება თვითეულ სასწავლებელთან სპეციალური ფულადი ფონდისა, ამა თუ იმ სასწავლებლის სპეციალურ საშუალებათა სახელწოდებით.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ ფონდს შეადგენს:

ა) სწავლის სასყიდელი, სადაც ასეთი დაწესებულება;

ბ) ის შემოსავალი, რაც მიღებულ იქნება კლინიკებიდან, სახელოსნოებიდან, საბჭოთა მეურნეობათაგან და სამოსწავლო-დაზმმარე დაწესებულებათა სხვაგვარი სამეურნეო გამოყენებით;

გ) შემოსავალი წარმოებითი დაწესებულებებისა, რასაც დააარსებს სასწავლებელი;

დ) ის დახმარებანი, რაც მიღებულ იქნება სახელმწიფო დაწესებულებათაგან და საზოგადოებრივ ორგანიზაციათაგან;

ე) შემოწირულებანი კერძო პირთაგან და შემთხვევითი შემოსავალი.

3. აღნიშნული სპეციალური საშუალებანი შეტანილ უნდა იქნეს სასწავლებლის საშემოსავლო ბიუჯეტში; ამასთანავე ამა შემოსავალთა აღნუსხვამ ხარჯთაღრიცხვაში არ უნდა გამოიწვიოს არსებულ ასიგნობათა შემცირება.

4. სპეციალურ საშუალებათა დახარჯვა სწარმოებს, როგორც სამოსწავლო-დამხმარე დაწესებულებათა შევსებისა და მოწყობისათვის, სამეურნეო საოპერაციო საჭიროებისათვის და საბიუჯეტო თანხების დამატებისათვის, ისე დამატებითი მუშაობისათვის სამოსწავლო დარგში და აგრეთვე შტატის გარეშე მოწვეული სამასწავლებლო და ტექნიკური პერსონალის შენახვისათვის.

5. აღნიშნულ საშუალებათა მიღებისა, შენახვისა და დახარჯვის წესი და აგრეთვე ანგარიშგების წესი—განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს ფინანსთა სახალხო კომისარიატი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებთან ერთად.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის  
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის  
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

## დადგენილება № 80 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აგვისტოს 15.

**171.** ელექტრო-ტექნიკურ ნაგებობათა მოწყობის ნებართვის წესის შესახებ იმ ადგილებში, რომელთაც უკვე აქვთ საერთო სარგებლობის სატელეგრაფო ხაზი და სატელეფონო ქსელი.

რათა სატელეგრაფო და სატელეფონო ხაზები დაკულ იქნეს ძლიერი ელექტრონის დენის მოქმედებისაგან ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. ელექტრონის ტრამვაისა, განათებისა და, საერთოდ, ძლიერი ელექტრონის დენით მოქმედი ნაგებობის მოწყობის დროს მწარმოებელი მოვალეა იხმაროს აქვე დართულ წესებში აღნიშნული ტექნიკური ღონისძიებანი რათა საერთო სარგებლობის არსებული სატელეგრაფო ხაზი და სატელეფონო ქსელი სრულიად დაკული იქნეს განათებისა, ტრამვაისა და სხვა დენის ყოველგვარი მავნებელი გავლენისაგან ტელეგრაფის მუშაობაზე და ტელეფონის საშუალებით

ლაპარაკზე. ელექტრონის ნაგებობის მოქმედება არ შეიძლება დაიწყოს, ვიდრე ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ დანიშნული კომისია, — შედგენილი სპეციალისტებისაგან, ადგილობრივი ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელთა და აღნიშნული ნაგებობის მოწყობ-მწარმოებლის მონაწილეობით, — არ შეამოწმებს ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულების ტრამეისა, განათებისა და სხვა მავთულებთან შეერთებისაგან დამკველ მოწყობილობას და ვიდრე ცნობილ არ იქნება, რომ ეს მოწყობილობა სათანადოდ ეგუება თავის დანიშნულებას.

2. მწარმოებლის მიერ ხმარებულ დამკველ ღონისძიებათა არასაკმარისიანობა, ელექტრონის ნაგებობის სახიანო გავლენა ტელეგრაფზე ან ტელეფონზე და აუცილებლობა ადგილობრივი სატელეგრაფო ხაზის და სატელეფონო ქსელის გადაკეთებისა-საბოლოოდ გამოირკვევა 1- მუხლში აღნიშნული კომისიის მიერ ელექტრონის ნაგებობის მოქმედების გახსნისას.

3. უკეთუ მწარმოებლის მიერ თავის ტრამეისა, ელექტრონის განათებასა და სხვა ნაგებობაზე ხმარებული ტექნიკური ღონისძიებანი ტელეგრაფისა და ტელეფონის დაცვისათვის ამ ნაგებობის და იქ მოქმედი ელექტრონის დენის მავნებელი გავლენისაგან საკმარისი არ იქნება, — ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს უფლება აქვს მოახდინოს მწარმოებლის ხარჯზე საჭირო გადაკეთება ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელისა სახიანო გავლენის თავიდან ასაცილებლად. ტელეგრაფისა და ტელეფონის გადაკეთების ტექნიკური პროექტი და ხარჯის აღრიცხვა შედგენილ იქნება მწარმოებლის მონაწილეობით სპეციალისტთა კომისიის (მუხ. 1) განმარტების საფუძველზე და დამტკიცდება ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის მიერ.

4. სატელეგრაფო ხაზისა და სატელეფონო ქსელის გადასაკეთებლად, ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის მიერ დამტკიცებული ტექნიკური პროექტისამებრ, მწარმოებელი ვალდებულია, ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის მოთხოვნით, შეიტანოს ორი კვირის განმავლობაში, დღიდან მოთხოვნის წარდგენისა, კომისარიატის მიერ განსაზღვრული თანხა. უკეთუ იმ მუშაობის დამთავრების შემდეგ, რაც საჭირო იქნება სატელეგრაფო ხაზისა და სატელეფონო ქსელის გადასაკეთებლად, მათის დაცვისათვის ელექტრონის ნაგებობათა სახიანო გავლენისაგან, დარჩება ნაშთი ამ საქმისთვის შეტანილი თანხიდან, — იგი დაებრუნება მწარმოებელს კუთვნილებისამებრ.

5. ზემოაღნიშნული (მუხ. 4) მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს არა უგვიანეს ერთი წლისა ელექტრონის ნაგებობათა მოქმედების დაწყების დღიდან, დამტკიცებული პროექტების მთელი სივრცით, უკეთუ ამ ვადის განმავლობაში მოთხოვნა წარდგენილ არ იქნა-მწარმოებელი განთავისუფლდება მის მიერ თავის თავზე მიღებულ ტელეგრაფისა და ტელეფონის გადაკეთების ვალდებულებისაგან.

6. უკეთუ მწარმოებელი მე-4 მუხლში აღნიშნულ ვადაზე არ წარადგენს ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელის გადაკეთებისათვის დანიშნულ თანხას, — ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის განკარგულებით ელექტრონის ნაგებობის მოქმედება შეიძლება შეჩერებულ იქნეს.

7. ყველა ტექნიკური ნაგებობა, მოწყობილი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გარეშე იმ ელემენტარული წესებისა, რაც საჭირო იყო ტელეგრაფ-ტელეფონის ხაზებისა და მავთულების დასაცავად—გადაკეთებულ უნდა იქნეს იმ ნაწილში, რომელიც ემუქრება ტელეგრაფისა და ტელეფონის აპარატების დასხვა ხელსაწყოთა მოქმედების სისწორეს და უზენებლობას.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის  
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო  
კომისართა საბჭოს მდივნის  
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ხ. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ხარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აგვისტოს 17-ს თარიღის 187 №-ში.

### ვაამტკიცებ.

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა  
თა საბჭოს თავმჯდომარე

**მ. ორახელაშვილი.**

1923 წლის აგვისტოს 10.

## წ ე ს ე ზ ი.

### 172. ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულების დაცვის შესახებ ძლიერი ელექტრონის დენის მოქმედებისაგან.

§ 1. სატელეგრაფო და სატელეფონო ხაზი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ძლიერი დენის საზიანო გავლენისაგან შემდეგი ღონისძიებით:

§ 2. პირდაპირი და უკულმა მავთულები ცვალებადი მიმართულების ძლიერი დენის თვითეული საპაერო ხაზისა მის მახლობლად არსებული ტელეგრაფ-ტელეფონის მავთულების ინდუქციის შესამცირებლად,—გამართული უნდა იყოს პარალელურად, ისე რომ მანძილი მათ შორის არ აღემატებოდეს 50 სანტიმეტრს.

§ 3. ძლიერი დენის მავთულები საერთოდ უნდა წარმოადგენდეს წესიერად იზოლირებული მეტალის შეკრულ გრებილს. მიწის გამოყენება დენის უკან გასაყვანად შეიძლება მარტოოდენ ელექტრონის წვეის მოწყობისათვის.

§ 4. ელექტრონის წვეში შეიძლება დენის უკან გაყვანა რელსების საშუალებით, ხოლო უკანასკნელთ მათი გამტარებლობის მიმართ უნდა ჰქონდეთ საკმარ კვეთილობა და პირპირებში შეერთებული უნდა იყვნენ ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს რაც შეიძლება საუკეთესო გამტარებელი კონტაქტი. იმ შემ-

თხვევაში, უკეთეს დენის რელსებით უკან გაყვანის გასაუმჯობესებლად მიწაში გაყვანილი იქნება შიშველი გამტარებელი, — ეს გამტარებელი თვითიველ 30 მეტრზე აუცილებლად შეერთებულ უნდა იქნეს ელექტრონით რელსებთან.

§ 5. ძლიერი დენის მავთული გაყვანილ უნდა იქნეს საკუთარი დასაყრდნობი პუნქტებით და ისეთი მიმართულებით, რომ შეძლებისდაგვარად, თავიდან აცდენილ იქნეს ხანგრძლივი პარალელური მსვლელობა ამ მავთულისა ერთი დღე იმავე გზით სატელეგრაფო და განსაკუთრებით, სატელეფონო მავთულებთან, რათა ამ უკანასკნელ მავთულებში არ მოხდეს ინდუქცია.

§ 6. უკეთეს ძლიერი დენის მავთულები გაყვანილია პარალელურად სატელეგრაფო ან სატელეფონო მავთულებთან, — მანძილი მავთულთა ამ ორი სისტემის შორის უნდა იყოს ისეთი, რომ სვეტების შემთხვევითმა წაქცევამ არ ავნოს მეზობელ ხაზს. იმ შემთხვევაში, უკეთეს ადგილობრივი პირობების გამო აღნიშნული მანძილი მავთულთა ორი სისტემის შორის არ შეიძლება დაცულ იქნეს, — სვეტები სატელეგრაფო ან სატელეფონო მავთულებისა, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რათა არ წაიქცეს მახლობლად მოწყობილი ძლიერი დენის მავთულების მხარეზე. ხოლო შეხვედრისაგან უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორივე სისტემის მავთულები.

§ 7. უკეთეს კანალიზაცია მიწის ქვეშაა — ჯირგინები (კაბელი) ერთი ან მეორე სისტემისა 50 სანტიმეტრზე ახლო არ უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯირგინი, რომელსაც არა აქვს მეტალის ჯავშანი, მოთავსებულ უნდა იყოს ქვის ან ტინობის (ბეტონ) წყობაში ან რკინის მილში მთელ მანძილზე, რომელზედაც ეს ჯირგინები 50 სანტიმეტრზე უფრო ახლო არიან ერთმანეთისაგან.

§ 8. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია თავიდან აცდენა ძლიერი დენის მავთულების სუსტი დენის მავთულებთან (ტელეგრაფის ან ტელეფონის) გადაჯვარედინებისა, — ეს გადაჯვარედინება უნდა მოხდეს პირდაპირ კუთხედ და, ყოველ შემთხვევაში, ისეთ კუთხედ, რომელიც 45°-ზე ნაკლები არ უნდა იყოს; ამის გარდა აღნიშნული გადაჯვარედინება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ მანძილი ძლიერი დენის მავთულებსა და სუსტი დენის მავთულებს შორის ვერტიკალური მიმართულებით ერთ მეტრზე ნაკლები არ იყოს.

§ 9. ძლიერი დენის მავთულების სუსტი დენის მავთულებთან გადაჯვარედინების დროს პირველი სისტემის მავთულები გაყვანილ უნდა იქნეს სუსტი დენის მავთულების ზემოდ და ამის გარდა მიღებულ უნდა იქნეს საკირო ლონისძიება, რათა თავიდან აცდენილ იქნეს მეტალური შეხების შესაძლოება სუსტი დენის მავთულებისა ძლიერი დენის მავთულებთან.

§ 10. რათა თავიდან აცდენილ იქნეს შეხება ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულების ძლიერი დენის მავთულებთან გადაჭდვის ადგილას ზემო მავთულების გაწყვეტის დროს, — ამ მავთულების ქვეშ უნდა მოეწყოს მიწასთან შეერთებული დამცველი ბადე. ელექტრონის წვეის მომუშავე მავთულის ზემოთ შეიძლება გაყვანილ იქნეს მიწასთან შეერთებული უკუსადგები მავთული, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გასწიოს დამცველი ბადის მაგიერობა. ტელე-

გრაფისა და ტელეფონის მავთულებისათვის, რომლებითაც გადაკლობილია ძლიერი დენის მავთულები, ბადის მაგიერ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საპა-  
ერო ჯირკანი ან სხვა მოწყობილობა, რაც პირველ მავთულებს დაიცავს მეორე  
მავთულებთან შეხვედრისაგან.

§ 11. მინიმალური მანძილი დამცველი ბადისა მავთულებიდან არ უნდა იყოს 40 სანტიმეტრზე ნაკლები ვერტიკალური მიმართულებით. უკეთეს ბადეს განგრძივი მავთული აქვს გამოყენებულ უნდა იქნეს ფოლადის მავთული, რომლის დიამეტრიც ყოველ შემთხვევაში 3 მილიმეტრის უნდა უდრიდეს. ბადის სიგანის მავთული, რომელიც სახვევი მავთულის საშუალებით ყრულ მიმაგრებულა განგრძივი მავთულზე,— შეიძლება იყოს რკინისა, ფოლადისა ან ბრინჯაოსი, ხოლო მისი დიამეტრი ყოველ შემთხვევაში  $1\frac{1}{2}$  მილიმეტრს ონდა უდრიდეს. ბადის ნახერტი თავისი ფორმით უნდა წარმოადგენდეს კვადრატს, რომლის თვითეული გვერდი 20 სანტიმეტრზე უგრძესი არ უნდა იყოს. გადაჯვარედინების დროს საყრდნობი მოწყობილობა, რომელზედაც მიმაგრებულია დამცველი ბადე, საკმაოდ მტკიცე უნდა იყოს და გამაგრებული გასაქიმით ან ბიჯგებით.

§ 12. ელექტრონის წვეის მოწყობილობაში მიწის ქვეშ არსებული საკვები ჯირკანები და აგრეთვე რელსები; უკეთეს მათ უკულში მავთულის დანიშნულება აქვთ,— გაყვანილ უნდა იქნენ არა უახლოეს 50 სანტიმეტრისა სატელეგრაფო ან სატელეფონო ჯირკანებიდან და ამასთანავე ისე, რომ მათ შორის არ იყოს არავითარი მეტალის საგანი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მოხდეს შეერთება ძლიერი დენის მავთულებისა სატელეგრაფო და სატელეფონო მავთულებთან. უკეთეს ეს შეუძლებელია ადგილობრივი პირობების გამო, სატელეგრაფო და სატელეფონო ჯირკანები გადატანილ უნდა იქნეს სხვა ადგილას.

§ 13. შენობის შიგნი ყველა ნაწილი მოწყობილობისა სუსტი დენით, მათ შორის მიწის გამტარებლებიც, შესძლებისდაგვარად, მოშორებულ უნდა იქნეს ძლიერი დენის მავთულებს, ე. ი. გაყვანილი იმგვარად, რომ ძლიერი დენის გადასვლა სუსტი დენის ნაგებობისაკენ სრულიად შეუძლებელი იქნეს.

§ 14. თვითეულ სატელეგრაფო და სატელეფონო მავთულში, რომელიც ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიებით დაცული იქნება ძლიერი დენის მავთულების ქსელთან შეხებისაგან—ორივე თავში მოთავსებულ უნდა იქნეს ადვილსადნობი დამცველი ან ავტომატიური „ვიკლიუჩატელი“.

§ 15. იმ შემთხვევაში, უკეთეს,— მიუხედავად აღნიშნული წესების შესრულებისა,— სატელეგრაფო და სატელეფონო იარაღებში შემწნიელ იქნება ძლიერი დენის გავლენა— ასეთი გავლენის რაიონში მიწა არ უნდა იყოს უკულში გამტარებელი სატელეგრაფო ან სატელეფონო მავთულების ქსელისათვის.

გამოკვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აგვისტოს 17-ს თარიღის 187 №-ში.



# დეკრეტი ამიერკავკასიის წინასწარული აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წ. აგვისტოს 13.

## 173. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა ენის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ—სახელმწიფო დაწესებულებათა ენისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული დეკლარაციის ძირითადი პრინციპების განსახორციელებლად, —ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო თავიანთ კანონებს, დეკრეტებს, დადგენილებებს და სხვ. აჭევენებენ რუსულსა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ენებზე,—ქართულსა, სომხურსა და თათრულზე.

2. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა, სახალხო კომისართა საბჭოებსა და სახალხო კომისარიატებს მიმართავენ რუსულს ენაზე, ხოლო მიიღებენ მათგან პასუხს, შეკითხვას, მინაწერს და სხვ. რუსულსა ან სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

3. მოქალაქეინ ყოველგვარ ქალაქს ამიერკავკასიის ცენტრალურ კომიტეტში და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანენ ერთ-ერთ ენაზე ზემო აღნიშნული ოთხი ენის შორის და მიიღებენ პასუხს მოხოვნილის მიერ არჩეულ ენაზე.

4. ენას ნაციონალური რესპუბლიკების ორგანოთა ცენტრალურ საოლქო ორგანოებთან, გაერთიანებულ კომისარიატებთან და სამმართველოებთან ურთიერთობრივი მიმართვისათვის—განსაზღვრავენ სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

5. ამა დეკრეტის განსავითარებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ უნდა გამოსცეს ცალკე დებულება ნაციონალური რესპუბლიკების ენების ხმარების შესახებ რკინის გზებზე, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში და ცალკე კავკასიის არმიაში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ გინსბურგი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აგვისტოს 18-ს თარიღის 188-№-ში.

## დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აგვისტოს 13.

### 174. ნახიჩევანის მხარის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურად გადახდევინების რაიონებისათვის მიკუთვნების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1923 წლის აპრილის 23-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-3 მუხლის 1-ლი შენიშვნის განსავითარებლად, — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ნახიჩევანის მხარე მიეკუთვნოს იმ რაიონებს, რომელნიც ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ისტუმრებენ ნატურად. ამასთანავე ამ მხარის მოსახლეობას უფლება ეძლევა გადასახადი გაისტუმროს ფულადაც.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივნის მაგიერ გინხბურგი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აგვისტოს 18-ს თარიღის 188 №-ში.

## დეკრეტი ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1923 წ. აგვისტოს 23.

### 175. ამიერკავკასიის რკინისგზებზე და გზა-ტყეცილებზე ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ სახელმწიფო დაწესებულებათა ენისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული დეკლარაციის ძირითადი პრინციპების

განსახორციელებლად და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა ავეისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხ. აღსრულებისათვის, — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღგვის:

1. დამტკიცდეს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება — ამიერკავკასიის რკინისგზებზე და გზა-ტრეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

2. დაეკისროს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ, რაც შეიძლება მოკლე ვადის განმავლობაში, წარმოუდგინონ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დებულებანი — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის გზათა სახალხო კომისარიატის პორტების განყოფილებაში ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომრე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ **ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს მდიენის მაგიერ **ტრეივასი.**

## დეგულაგა ამიერკავკასიის რკინისგზებზე და გზა-ტრეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

### 1. გზათა სამმართველოსათვის.

ა., — შეკითხვა და პასუხი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის დაწესებულებათა მიმართ უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

ბ., — ყოველი, — გამოუნაკლისად, — წარწერა, განცხადება, ბრძანება, ცირკულიარი, წესები, განკარგულება და სხვ., რაც გამოფენილი იქნება მოქალაქეთა საყოველთაო ცნობისათვის სადგურზე, კონტორაში და სხვ. შენობაში, აგრეთვე გზებზე — აუცილებლად უნდა იწერებოდეს, — ერთსა და იმავე დროს, — ამიერკავკასიის ფედერაციის ოთხ ენაზე: ქართულსა, სომხურსა, თურქულსა და რუსულზე; ხოლო წარწერა, განცხადება, ბრძანება და სხვ. ადგილობრივი ხასიათისა — ამა სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, — უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

გ., — ყოველგვარი განკარგულება, განცხადება და წესები, — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში მიმომსვლელ ვაგონებში გამოკრული, — უნდა იწერებოდეს, ერთსა და იმავე დროს, — წინა მუხლში აღნიშნულ ოთხ ენაზე.

დ.,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი ცალკე რესპუბლიკების ფარგლებში მიწერ-მოწერა გზის ხაზის დაწესებულებასთან არატექნიკური ხასიათისა—უნდა სწარმოებდეს ორ ენაზე: სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

ე.,—გზათა სამმართველოს ყოველი ბრძანება, ცირკულიარი და დებეშა ტექნიკურ-განკარგულებითი ხასიათისა,—ვიდრე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკათა ენებზე ტექნიკური ტერმინოლოგია დამყარდებოდეს,—გაიცემა რუსულ ენაზე.

ვ.,—მთლად ტექნიკური, მატერიალური და ფულის ანგარიში რკინის გზების სამმართველოში სწარმოებს რუსულ ენაზე.

ზ.,—რკინის გზების სამმართველოს განყოფილებათა (სლუჟბა) შორის შინაგანი სამსახურებრივი მიწერ-მოწერა სწარმოებს რუსულ ენაზე.

## II. ამიერკავკასიის რკინიგზებისა და გზატკეცილების ხაზისათვის.

ა.,—შეკითხვა და პასუხი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის დაწესებულებათა მიმართ უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

ბ.,—ტვირთისა და ბავაჯის გადასახიდი დოკუმენტები, როგორც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შიგნით, ისე სატრანზიტო მიმართულებისათვის, შედგენილ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

გ.,—ყოველგვარი სამსახურებრივი არატექნიკური ხასიათის მიწერ-მოწერა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი ცალკე რესპუბლიკების ფარგლებში უნდა სწარმოებდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე.

დ.,—ტექნიკური, მატერიალური და ფულის ანგარიში, აგრეთვე მთლად ამ ანგარიშთან დაკავშირებული მიწერ-მოწერა,—როგორც ცალკე რესპუბლიკის შიგნით, ისე მეზობელ რესპუბლიკებთან და გზათა სამმართველოსთან,—დროებით, ვიდრე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ენებზე ტექნიკური ტერმინოლოგია დამყარდებოდეს,—უნდა სწარმოებდეს რუსულ ენაზე.

ე.,—ყოველგვარი სამსახურებრივი ურთიერთ მიმართვა—არა ტექნიკური ხასიათისა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკის რკინის გზის ხაზის სარკინიგზო დაწესებულებათა შორის და გზატკეცილების დაწესებულებათა შორის უნდა სწარმოებდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად—რუსულ ენაზე; ხოლო ტექნიკური ხასიათის მიწერ-მოწერა სწარმოებს რუსულ ენაზე.

ვ.,—მიწერ-მოწერა არატექნიკური ხასიათისა, გზის ხაზიდან წარგზავნილი გზათა სამმართველოში, უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

ზ.,—სამსახურებრივი ხასიათის დებეშა, საექსპლუატაციო ტექნიკური საანგარიშო საკითხების შესახებ ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადაცემისათვის, უნდა იწერებოდეს და გადაიცემოდეს რუსულ ენაზე.

### III. კერძო დაწესებულებასთან და პირთან ურთიერთობრივი მიმართვისათვის.

ა.,—ყოველგვარი განცხადება, რომელიც შეტანილი იქნება კერძო პირის მიერ, როგორც გზათა სამმართველოში, ისე გზათა სახაზო დაწესებულებაში, მისაღებად სავალდებულოა\*სათანადო რესპუბლიკის ენაზე, სათანადო რაიონის ნაციონალური უმცირესობის ენაზე და რუსულ ენაზე.

ბ.,—ყოველი დოკუმენტი და ცნობა მიცემულ უნდა იქნეს მთხოვნელის სურვილისამებრ იმ ენაზე, რომელიც მან აირჩია ზემოაღნიშნული „ა“ პუნქტის თანახმად, ან ერთ-ერთ ამ პუნქტში მოხსენებულ ენაზე.

გ.,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფარგლებში კერძო პირისა და დაწესებულების მიერ გავზავნილი დებეშა მისაღებად სავალდებულოა სათანადო რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე, — ხოლო ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადასაცემი დებეშა მიიღება და გადაიკემა რუსულ ენაზე, ვიდრე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ენებისათვის საამისო ტექნიკური შესაძლებლობა შეიქმნებოდეს.

დ.,—ამა დებულების სრულის თანადობით შესასრულებლად გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა უნდა დაუყოვნებლივ გამოსცენ ინსტრუქციები და წესები ამა დებულების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო

კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ **ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს მდიენის მაგიერ **ტრეივასი.**

## დადგენილება № 81 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსში.

1923 წ. აგვისტოს 18.

### 176. აღმოსავლეთი საქართველოს მთიანი რაიონების განაწილების შესახებ მოსავლიანობის კატეგორიების მიხედვით.

„ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის“ შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. აპრილის 23 თარიღით გამოცემული („ზარია ვოსტოკა“ 1923 წ. აპრილის 26 თარიღის 93 №-რი) დეკრეტის მე-8 მუხ. თანახმად, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

აღმოსავლეთი საქართველოს მთიანი რაიონებისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი განაწილება მოსავლიანობისა თანახმად იმ კატეგორიებისა, რაც დადგენილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის მაისის 29 თარიღით გამოკვეთილი (ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივნისის 1 თარიღის 123 №-რი) დეკრეტით:

1-ლი კატეგორია (25 ფუთამდე) დეშეთის მაზრის მთიანი რაიონი (ეინვალი, ანანაური, თასანაური, მღეთი, კობი, ყაზბეგი).

1-ლი კატეგორია (25 ფუთამდე) თიანეთის მაზრის მთიანი რაიონი (ყოველი სოფელი ფშავისა და ხევსურეთის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა; სოფლები: ხორადკო, ჭყატანა, თელეშა, ბეწარა, ჭონჭაური, ჭარტალა, ვეძები, ბუხრები, ნავომურალი, იფნისგორა, ხევისწყარო, ნალუქნარი, ბულაანი, პანკისისა და ახმეტის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა; ართანის ხეობის სოფლები და აგრეთვე სოფლები: ინკვილი, ბოტკო და ხინჭები).

მე-4 კატეგორია (35 ფუთიდან 40 ფუთამდე) სამხრეთ-ოსეთი.

მე-5 კატეგორია (40 ფუთიდან 45 ფუთამდე) ახალქალაქის მაზრა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის

თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო

კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის

დროებითი აღმასრულებელი **ხ. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აგვისტოს 26 თარიღის 195 №-ში.

## დადგენილება ამიერკავკასიის სენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 13,

**177.** მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე პურის მარაგის აღნუსხვის შესახებ.

რადგანაც საჭიროება მოითხოვს გამოკვეთულ იქნეს მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე პურის თვალმისაწვდენი მარა-

გი, — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ:**

1. აღნუსხვა პურის თვალმისაწვდენი მარაგისა უნდა მოხდეს მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლიწადში ოფხჯერ: ოქტომბრის 1-ს, იანვრის 1-ს, აპრილის 1-ს და ივლისის 1-ს; აღნუსხვა ესე უნდა მოეწყოს რესპუბლიკანურ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებთან იმ პირობით, რომ ცნობები პურის თვალმისაწვდენი მარაგის შესახებ გააძქვეყნდებოდეს ხოლმე მათ მიერ მიღებისთანავე და ეცნობებოდეს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და აგრეთვე ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატს.

II. პურის არსებული მარაგის აღნუსხვის მოხდენა დაეკისროს თვით პურის პატრონთ: ამასთანავე:

1. მოკავშირე რესპუბლიკების სასურსათო სახალხო კომისარიატები, ამა დადგენილების 1 მუხ. აღნიშნული სააღნუსხვო ვადის შემდეგ, არა უგვიანეს სამი დღისა, გაუგზავნიან სათანადო რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს ცნობებს თავიანთი საკუთარი პურის შესახებ ამა თუ იმ რესპუბლიკაში, ხოლო ცნობების ასლს იმავე ვადაზე მიაწვდიან ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატს.

2. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სახელმწიფო ბანკი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილება, ამიერკავკასიის ამხანაგება პურის პროდუქტების ვაჭრობისა, კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი, სანავთო კომიტეტი და ყველა სხვა ცენტრალური სახელმწიფო და საზოგადო სავაჭრო და სამრეწველო საწარმო, — სააღნუსხვო ვადის შემდეგ, არა უგვიანეს 3 დღისა, გაუგზავნიან ცნობებს თავიანთი საკუთარი პურის მარაგის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის სათანადო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს — იმის მიხედვით, თუ სად იქონიება ეს პურის მარაგი.

3. რესპუბლიკაში არსებული ერთიანი მომხმარებელი საზოგადოებანი, მუშათა კოოპერატივები, სამაზრო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები და სხვა რესპუბლიკანური და ადგილობრივი დაწესებულებანი, აგრეთვე პურის საბითუმო ვაჭრობის მწარმოებელი კერძო მოვაჭრენი მოვალენი არიან, სააღნუსხვო ვადის შემდეგ, არა უგვიანეს სამი დღისა, მიაწოდონ ცნობა თავიანთი საკუთარი პურის მარაგის შესახებ ადგილობრივ რესპუბლიკანურ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს. უკეთუ თითონ მოვაჭრე რესპუბლიკის ფარგლებში არ იმყოფება, ცნობების წარდგენა დაეკისრება მის რწმუნებულს და ნოქარს.

**შენიშვნა:** პურის იმ მოვაჭრეთა სიას, რომელნიც მოვალენი არიან წარადგინონ ცნობები თავიანთი საკუთარი პურის მარაგის შესახებ, შეადგენენ რესპუბლიკანური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებისა, სასურსათო სახალხო კომისარიატებისა და სხვ. სახელმწიფო დაწესებულებათა ცნობების მიხედვით.

რესპუბლიკანური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მოვალეობას შეადგენს მიილოს ღონისძიება, რათა ეს ცნობები თავის დროზე და უკლებლივ მისილიდეს.

5. რესპუბლიკანური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები, სააღმსრებლო ვადის შემდეგ, არა უგვიანეს 2 კვირისა, გაუგზავნიან სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და აგრეთვე ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატს თვითიველი რესპუბლიკის შესახებ ცნობებს:

ა) ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სახელმწიფო ბანკისა, პურის პროდუქტების ვაჭრობის ამიერკავკასიის ამხანაგობისა, კოოპერატივთა ცენტრალური კავშირისა და სხვ. ცენტრალური სახელმწიფო და საზოგადო საეკონომიკური და სამრეწველო საწარმოს—პურის მარაგის შესახებ.

ბ) ერთიანი მომხმარებელი საზოგადოებების პურის მარაგის შესახებ.

გ) ყველა მუშათა კოოპერატივის პურის მარაგის შესახებ.

დ) სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სხვ. ადგილობრივი დაწესებულების პურის მარაგის შესახებ.

ე) საბითუმო ვაჭრობის მწარმოებელ მოვაჭრეთა პურის მარაგის შესახებ.

**შენიშვნა: 1:** ცნობები პურის არსებული მარაგის შესახებ გაიგზავნება ფუთობრივ ჯამებად გამოყვანილი, შემდეგი ხუთი ჯგუფის მიხედვით:

ა) სასურსათო პურეული მარცვლად (ხორბალი, ქვავი).

ბ) ბურღული პურეული მარცვლად (ბურღული, ფეტვი, ასლი, მუხუდო, ოსპი, ლობიო, სიმინდი);

გ) საქონლის საკვები პურეული მარცვლად (შვრია, ქერი);

დ) ყოველგვარი ფქვილი;

ე) ყოველგვარი ბურღულეული (ფეტვი, ჭანგი, ქრთილი, მანნა და სხვ. ბურღულეული და ბრინჯი),—იმის ცალკე აღუნიშნავად, თუ, სახელდობრ, რა და რა პურეულია.

**შენიშვნა 2:** გარდა ცნობებისა არსებული პურის მარაგის შესახებ ზემოაღნიშნული დაწესებულებანი და პირნი მიაწვდიან ცალკე ცნობებს თავიანთი საკუთარი პურის ტვირთთა შესახებ, რაც გზაში აქვთ, ე. ი.—იმ ტვირთთა შესახებ, რაც ვადასაზიდად ჩაუბარებიათ და რაც აღმსრულებლის დღისათვის დანიშნულ ადგილას არ მისულა. ცნობები გზაში ქონებულ ტვირთთა შესახებ წარედგინება 1-ლ შენიშვნაში დასახელებულ ჯგუფებად იმის აღუნიშნავად, თუ რა გზით და რა ადგილას მიდის ტვირთი.

III. იმისდამიუხედავად, რომ მე-1 მუხ. მე-2 შენიშვნით პურის ტვირთთა პატრონებისათვის სავალდებულოა წარადგინონ ცნობა გავგზავნილ პურის ტვირთთა საერთო რაოდენობის შესახებ,—მაგრამ, მაინც რათა შემოწმებულ იქნეს წარდგენილი ცნობების სისწორე,—დაეკისროს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა გამოარკვიონ ხოლმე ვადასაზიდად მიღებული პურის ტვირთთა რაოდენობის შესახებ.



დენობა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული რიცხვებისათვის და სამს დღეზე არა უგვიანეს დღიდან აღნუსხვისა, შეატყობინონ რესპუბლიკანურ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს, იმის მიხედვით, თუ რა ადგილზეა ტვირთი:

- ა) გასაგზავნად მიღებული და რკინისგზისა და საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს საწყობებში ქონებული პურის ტვირთთა რაოდენობა და
- ბ) უკვე გასაგზავნად დატვირთული პურის რაოდენობა (ვაგონში, ბარჯაში და გემში).

**შენიშვნა:** ცნობები პურის ტვირთთა შესახებ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულების მიერ უნდა გაეგზავნოთ რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს საერთო ჯამებად მე-4 მუხ. შენიშვნაში აღნიშნულ პურის ტვირთთა ჯგუფების მიხედვით.

**IV. პირველი რეგისტრაცია პურის თვალმისაწვდენი მარაგისა მოეწყოს ამა წლის აგვისტოს 20-ს.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.  
სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. გინსბურგი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აგვისტოს 28-ს თარიღის 196—№-ში.

## დადგენილება № 82 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

1923 წლის აგვისტოს 18.

**178. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ ადგილობრივი საჭიროების დაკმაყოფილებისათვის.**

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის 11 მუხლის საფუძველზე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

1. რათა დაკმაყოფილებულ იქნეს ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები სკოლებისა და საავთანყოფოების შენახვისათვის, გზებისა და ხიდებისათვის და აგრეთვე სხვა ადგილობრივი საჭიროებისათვის—დაწესდეს შემდეგი პროცენტული ანარიცხი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან:

ა) 25<sup>0</sup>/<sub>0</sub>—თვითთული მაზრისათვის იმ გადასახადის საერთო რაოდენობიდან, რაც შეიკრიბება მაზრაში და

ბ) 10%—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის იმ გადასახადის საერთო რაოდენობიდან, რაც შეიკრიბება რესპუბლიკაში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ანარიცხი თვითეულ მაზრაში შეტანილ უნდა იქნეს მაზრის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში, და თვითეულ რესპუბლიკაში — რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის  
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭოს მდიენის  
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აგვისტოს 28-ს თარიღის 196 №-ში.

## დადგენილება № 83 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აგვისტოს 28.

### 179. არსებული სააქცაზო განაკვეთის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მაისის 14-ს დადგენილების II განყოფილების საფუძველზე—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

I. დაწესებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემდეგი განაკვეთი აქციზისა ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით:

1. ყურძნის ღვინო, ხილეულობისა და „იზიუმის“ ღვინო:

ა. ადგილობრივი წარმოებისა: ა) ყურძნის ღვინო არა უმეტეს 14<sup>0</sup> სიმაგრით—1.200.000 მან. ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—5.700.000 მან.; ბ) ხილეულობის ღვინო სიმაგრით 14 გრადუსამდე—5.700.000 ვედროზე; გ) ყურძნის ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსზე მეტს, ხოლო არა უმეტეს 20<sup>0</sup>-სა და აგრეთვე „იზიუმის“ ღვინო—6.720.000 მან., ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისთვის—12.000.000 მან.; დ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა, დამზადებული შაჰნაიურისდაგვარად)—35.550.000 მან. ვედროზე.

ბ. უცხოეთის წარმოებისა: ა) ღვინო ალკოჰოლით 14 გრადუსამდე—11.280.000 მან. ვედროზე; ბ) 14<sup>0</sup> ზევით, ხოლო არა უმეტეს 20<sup>0</sup>-სა—28.200.000

მან. და გ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—  
90.240.000 მან. ვედროზე,

2. ღვინის ძმარი დაიბეგვრება 1.200.000 მანეთით ვედროზე.

3. სპირტი: ა) გამოხდილი პურეულიდან, დაჩირული ხილეულობიდან და  
ყურძნეულიდან (ქიშმიში, „იზიუმი“) — 600.000 მან. გრადუსზე; ბ) კონიაკის სპი-  
რტი — 150.000 მან. გრადუსზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისა-  
თვის — 675.000 გრადუსზე; გ) გამოხდილი ნედლი ხილეულობიდან და ყოველ-  
გვარი ღვინეულიდან — 60.000 მან. გრადუსზე, დ) კონიაკს დაეძება დამატებითი  
აქციზი 15.000.000 მანათის რაოდენობით ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რეს-  
პუბლიკებში გატანისთვის — 30.000.000 მან. ვედროზე.

**შენიშვნა.** ტენიკური, ქიმიური და სხვა სპეციალური საჭიროებისა-  
თვის გაცემული ნედლი და რეკტიფიკატი სპირტი — დაიბეგვრება აქციზით  
საერთო საფუძველზე.

4. არყის ნაკეთობას გარდა ძირითადი აქციზისა გადახდება დამატებითი  
აქციზი — 24.000,000 მანათის რაოდენობისა ნაკეთობის ვედროზე.

5. ლუდი, თაფლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყა-  
ლი: ა) ლუდი სიმაგრით არა უმეტეს 6<sup>0</sup>-სა — 3.000,000 მან. ვედროზე; ბ) თაფ-  
ლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური წყალი — 600,000 მან. ვედროზე.

6. წუმწუმის ასანთი: ა) კოლოფი, რომელიც შეიცავს არა უმეტეს 75 წკი-  
რისა — 15,000 მან.; ბ) 75 წკირზე მეტი, ხოლო არა უმეტეს 150 წკირისა —  
30,000 მან. გ) 150 წკირზე მეტი, ხოლო არა უმეტეს 225 წკირისა — 45,000 მ.  
და სხვ.

7. ნავთის პროდუქტები: ა) ნავთის სანათი ზეთი (კეროსინი) და ნახადი  
ნავთის სხვა გამჭირვალე პროდუქტი (სანათი და საცხებელი ზეთი) ბენზინის  
გარდა — 1.800,000 მან. ფუთზე; ბ) ბენზინი — 3.600,000 მან. ფუთზე.

8. ჩაი, ყავა, მათი სუროგატი და ციკორი გირვანქაზე: ა) შავი ჩაი (ბაი-  
ხოეი) — 2.700,000 მან.; ბ) ჩაი ფილებად — 1.650,000 მან.; გ) აგურის ჩაი (კირ-  
პინი) — 750,000 მან.; დ) ჩაი ადგილობრივი მცენარეულობისა — 600,000 მან.,  
ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის — 2.700,000 მან.; ე) ყავა ნა-  
ტურალური ნედლი, ან დახალული და დაფქული — 1.800,000 მან.; ვ) სუროგა-  
ტი ჩაისა, ყავისა და ციკორი — 150,000 მან.

9. საფუარი: ა) დაწნეხილი და აგრეთვე მშრალი, გაკეთებული დაწნეხილი  
საფუარის დამზადებისადაგვარად, როცა დამატებულია ფქვილი ან სხვა მისი  
თანაგვარი მასალა იმ რაოდენობით, რაც საჭიროა საფუარის გამაგრებისათვის —  
600,000 მან. გირვანქაზე; ბ) მშრალი საფუარი, გაკეთებული დაწნეხილი საფუა-  
რის გაშრობით ვანსაკუთრებული საშუალებით, — 1.800,000 მან. გირვანქაზე.

10. სახარინი და სხვა მისი თანაგვარი ხელოვნურად დატკბილებული ნივ-  
თიერე-ბა — 30.000,000 მან. გირვანქაზე.

11. თაფლისა, ქანცვილისა, სტეარინისა და სხვა სანთელი — 1.800,000 მან.  
გირვანქაზე.

12. საკმლის მარილი — 300,000 მან. ფუთზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუ-  
ბლიკებში გატანისათვის — 1.200,000 მან.

## 13. თამბაქოს ნაკეთობა:

ა. ადგილობრივი წარმოებისა: ა) ყვითელი ფოთოლი თამბაქო (არა წეკო), რომელიც თამბაქოს ფაბრიკის საწყობიდან გადაეცემა ფაბრიკის გადასამუშავებლად—3,000,000 მან. გირვანქაზე; ბ) წეკოს პაპიროსი 1000 ცალზე—1,800,000 მან.; გ) სიგარეტი 1000 ცალზე—13,500,000 მან.; დ) სიგარა 1000 ცალზე—36,000,000 მან.; ე) მოსაწევი წეკო—300,000 მან. გირვანქაზე.

ბ. უცხოეთის წარმოებისა: ა) მოსაწევი თამბაქო და ბურუნუთი ყოველნაირი ხარისხისა—9,000,000 მან. გირვანქაზე; ბ) პაპიროსი ყოველნაირი ხარისხისა 18,000,000 მან. 1000 ცალზე; გ) სიგარეტი—45,000,000 მან. 1000 ცალზე; დ) სიგარა—120,000,000 მან. 1000 ცალზე.

14. გილზის ნაკეთობა და პაპიროსის ქაღალდი: ა) პაპიროსის გილზი—600,000 მან. 1000 ცალზე; ბ) დაჭრილი პაპიროსის ქაღალდი—180,000 მან. 1000 ცალზე.

**შენიშვნა.** გილზი, რომელიც თამბაქოს ფაბრიკაში გამოყენებული იქნება პაპიროსის დასამზადებლად—აქციზით არ დაიბეგრება.

15. პაპიროსი, რომელიც დამზადდება პაპიროსის სახელოსნოში აქციზ გადახდილი ბანდეროლიანი თამბაქოსაგან და აქციზ გადახდილი ბანდეროლიანი გილზისაგან—დაიბეგრება დამატებითი აქციზით—600,000 მან. რაოდენობით 1000 ცალზე.

## 16. ქარხლის და სახამებლის შაქარი.

ა. ქარხლის შაქარი კრისტალიური: ა) ფხენილი—9,000,000 მან. ფუთზე, ბ) რაფინადი—11,250,000 მან.

ბ. სახამებლის შაქარი—სითხედ და გამაგრებული (სახამებლის ბადავი, გლიუკოზა და რაფინადი)—3,600,000 მან. ფუთზე.

17. შირის კალოში: ა) ადგილობრივი წარმოების კალოში—600,000 მან. წყვილზე; ბ) უცხოეთიდან შემოტანილი კალოში—1,200,000 მან. წყვილზე.

**შენიშვნა.** ბავშვის კალოშს დაედება აქციზის ნახევარი.

II. ა) ამა დადგენილებით დაწესებული განაკვეთი შეეფარდება იმ საგნებს, რაც გამოშვებული იქნება მათი წარმოების ან შენახვის ადგილიდან, რომელიც სარგებლობს აქციზის მასზე გადარიცხვის უფლებას დადგენილი წესით; ბ) საგნები, რომლისთვისაც აქციზი უკვე გადახდილია მტკიცე განაკვეთით თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მაისის 14 დადგენილებისა,—განთავისუფლდება დამატებითი დაბეგრისაგან; გ) აქციზის შესატანი ვალის გადაღების შეღავათით გამოშვებული საგნებისათვის და აგრეთვე ვადავდაცილებული საგნებისათვის; აქციზი გადახდილ უნდა იქნეს შეტანის დღის განაკვეთისამებრ.

## III. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ირაზელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის

თანამდებობის დროებით აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის

თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აგვისტოს 29-ს თარიღის 197 №-ში.



# დადგენილება ამიერკავკასიის სენატრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისარტა საბჭოთა.

1923 წ. აგვისტოს 13.

## 180. სახელმწიფო ფულადი გადასახადისა და გამოსაღების პატივებისა, ვადის გადადებისა და განაწილებისა და ხაზინაში არამართლიერად შესული თანხების დაბრუნების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარტა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო (ფედერალური და რესპუბლიკანური) ფულადი გადასახადისა და გამოსაღების ვადის გადადება და განაწილება, აგრეთვე პატივება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში, — შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევაში გადამხდელის შუამდგომლობით.

2. ნება გადასახადისა და გამოსაღების ვადის გადადებისა და განაწილებისა, რაც პირველ მუხლშია აღნიშნული, ისე, რომ ჯარიმა და საურავი მირიცხულ არ იქნეს ნახევარ წელზე არა უმეტესი ვადის განმავლობაში, — ეძლევა საგადასახადო განყოფილებათ, რომელნიც არსებობენ ა.-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებში. ვადის გადადება და განაწილება უფრო ხანგრძლივი დროისთვის შეუძლიან პირდაპირი გადასახადის განყოფილებათ, ხოლო არა სხვაგვარად, თუ არ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებადართვით

3. გადამხდელის შუამდგომლობით და აგრეთვე არამართლიერად მირიცხვლისა და არასაიმედო შენაწერის და ნარჩენის პატივების ნება — ორას მილიონ თანხაზე არა უმეტეს — ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით — ეძლევა საგადასახადო განყოფილებათ, რომელთა სათანადო დადგენილებანი დამტკიცებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა მიერ.

შენაწერისა და ნარჩენის უფრო დიდი თანხის პატივება შეუძლიან საგადასახადო განყოფილებათ, რომლებიც არსებობენ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან, ხოლო არა სხვაგვარად, თუ არ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებადართვით.

**შენიშვნა:** ამა დადგენილების 1, 2 და 3 მუხ. მოქმედება არ გავრცელდება ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე.

4. ხაზინაში არამართლიერად შესული თანხები დაბრუნებულ უნდა იქნეს საგადასახადო განყოფილებათა უმეშვეო განკარგულებით, ხოლო ას ორმოცდაათ

მილიონ მან. თანხაზე არა უმეტეს—ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით; უფრო დიდი თანხა კი—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებადართვით.

5. ხაზინაში არამართლიერად შესული თანხის დაბრუნებაზე გავრცელება სამწლიანი ხანდაზმულობა.

6. ამა დადგენილების შეფარდება განისაზღვრება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.  
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივნის მოადგილე **ა. გინხუტრი.**

გამოქვეყნებულია, „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აგვისტოს 30-ს თარიღის 198 №-ში.

